

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომის

ოქმი N7

24 ივლისი. 2015 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ჯემალ მაგანია, რექტორი, პროფესორი, სხდომის თავმჯდომარე
2. ნინო ქოჩაკიძე, პროფესორი, მდივანი
3. ირაკლი დოლაბერიძე-ასოცირებული პროფესორი
4. ედუარდ ფეროიანი-ასოცირებული პროფესორი
5. დავით ხაჩიძე- ასოცირებული პროფესორი

დღის წესრიგი:

1. პროფ. მანანა მნათობიშვილის განცხადების განხილვა
2. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხათუნა მიქაუტაძის მომართვის განხილვა
3. 2015-2016 სასწავლო წლის 1 სემესტრის აკადემიური პერსონალის სამტატო გარიგისა და სახელფასო სარგოს დამტკიცების შესახებ
4. წარმომადგენლობითი საბჭოსათვის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგენის შესახებ
5. 2015-2016 სასწავლო წლიდან საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის სწავლის საფასური განსაზღვრა.
6. უნივერსიტეტის სამსახურებისა და განყოფილებების დებულებების დამტკიცება

მოისმინეს: საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის პროფესორ ჯ.მაგანიას ინფორმაცია, რომელმაც საბჭოს მოახსენა, იმასთან დაკავშირებით, რომ 2015 წლის 17 ივლისს ჩატარდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნები, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ჩვენი უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი პროფ. მანანა მნათობიშვილი და წარმომადგენლობითმა საბჭომ მისი კანდიდატურა დაამტკიცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელის თანამდებობაზე. პროფ. მ. მნათობიშვილმა აკადემიურ საბჭოს მომართა განცხადებით აკადემიური

საბჭოს წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე. განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის საფუძველზე.

დაადგინეს: დაკმაყოფილდეს პროფ. მ. მნათობიშვილის განცხადება და 2015 წლის 24 ივლისიდან შეუწყდეს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილება.

მოისმინეს: საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხ. მიქაუტაძის ინფორმაცია. მან აღნიშნა პროფ. მ. მნათობიშვილის აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო მისი უფლებამოსილების ხანგრძლივობის დარჩენილი ვადით 2015 წლის 9 მაისის აკადემიური საბჭოს არჩევნების შედეგების საფუძველზე აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება მიენიჭოს პროფ. გიორგი ზუბიტაშვილს.

დაადგინეს: საბჭომ ღია კენჭისყრით ცნო პროფ. გიორგი ზუბიტაშვილს უფლებამოსილება დარჩენილი (ორი წლის) ვადით.

მოისმინეს: საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, პროფ. ჯემალ მაგანიას ინფორმაცია, რომ საბჭოს წევრებს დაურიგდათ 2015-2016 წლის 1 სემესტრის აკადემიური პერსონალის სამტატო განრიგისა და სახელფასო სარგოს შესახებ პროექტი (თან ერთვის) და ითხოვა გამოეხატათ აზრი აღნიშნულთან დაკავშირებით.

მოისმინეს: საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის პროფ. ჯემალ მაგანიას ინფორმაცია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვაკანტურ თანამდებობაზე ვლადიმერ ბოჟაძის კანდიდატურის წარდგენის თაობაზე, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე იყო მხოლოდ ერთი კანდიდატურა და ითხოვა ფარული კენჭისყრით გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება მოცემული კანდიდატისადმი.

ჩატარდა კენჭისყრა და აკადემიური საბჭოს დამსწრე წევრთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ვ. ბოჟაძის კანდიდატურას წარმომადგენლობით საბჭოზე წარედგინათ.

დაადგინეს: ვ. ბოჟაძის კანდიდატურა წარდგენილ იქნას წარმომადგენლობით საბჭოზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვაკანტურ თანამდებობაზე დასამტკიცებლად.

აზრი გამოხატეს: პროფ ნ. ქოჩაკიძემ, ასოც. პროფ. ი. დოლაბერიძემ, და დ. ხაჩიძემ. მათ მოიწონეს პროექტი და გამოთქვეს აზრი, რომ ამ სახით შეიძლება მათი დამტკიცება.

დაადგინეს: რექტორის, პროფ. ჯ.მაგანას მიერ წარმოდგენილი 2015-2016 სასწავლო წლის 1 სექტემბრის აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგი და სახელფასო სარგო.

მოისმინეს: რექტორმა პროფ. ჯ.მაგანამ საბჭოს გაცნო 2015/2016 სასწავლო წლიდან საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების სწავლის საფასურის შესახებ ინფორმაცია. მან აღნიშნა, რომ ორივე საფეხურისათვის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) საქართველოს მოქალაქეებისათვის წლიური გადასახადი დადგინდეს 2250 (ორი ათას ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის 2500 (ორი ათას ხუთასი) ამერიკული დოლარის ექვივალენტი ლარებში.

დაადგინეს: საბჭომ მხარი დაუჭია რექტორის წინადადებას და დაადგინა, რომ საქართველოს მოქალაქეებისათვის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის სწავლის წლიური გადასახადი განისაზღვროს 2250 ლარით, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის 2500 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.

მოისმინეს: რექტორის პროფ. ჯ.მაგანას ინფორმაცია სასწავლო უნივერსიტეტის სამსახურებისა და განყოფილებების დებულებების განხილვა დამტკიცების შესახებ. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილია ყველა განყოფილების დებულებები და საჭიროა მათი დამტკიცება (დებულებები ტან ერთვის)

დაადგინეს: წარმოდგენილი დებულებები დამტკიცებულ იქნას.

დამტკიცებულ იქნას წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი

სხდომის მდივანი, პროფესორი



ჯ.მაგანია

ნ. ქოჩაკიძე